

## კორპორაციული თუ კორპორატიული?

სესხების პროცესი ლექსიკური ერთეულის შეგუებას გულისხმობს ახალ არეალში. ყველა ენა, მათ შორის ქართულიც, ნასესხებ სიტყვას საკუთარი ენის მორფოფონეტიკური საშუალებებით აფორმებს და დროთა განმავლობაში ის დედაენის ლექსიკის ნაწილი ხდება. ქართულ ენაში უცხო წარმომავლობის ტერმინთა გაფორმების საკითხი არაერთი მკვლევრის შესწავლის საგანი იყო და დღესაც მნიშვნელოვანია. უცხო ტერმინთა ადაპტაციის პრობლემათა შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნასესხები ფუძეებიდან **-ურ** (**-ულ**) სუფიქსის საშუალებით ზედსართავთა გაფორმებას.

უცხო ფუძეებიდან **-ურ** (**-ულ**) სუფიქსით ტერმინთა მორფოლოგიური ადაპტაციის საკითხი არსებითად შესწავლილია. გამოკვეთილია ერთი ძირითადი ტენდენცია, რომელსაც ემყარება ამგვარი წარმოება და დადგენილია ნორმა: ნასესხები სიტყვებისგან ზედსართავისათვის ამოსავალია ან არსებითი სახელი, ან – ზედსართავი. როდესაც მხოლოდ ზედსართავი სახელია ნასესხები, ხოლო შესაბამისი ფუძის სახელი კი – არა, ქართული სუფიქსი დაერთვის უცხო წარმომავლობის ზედსართავის ფუძეს. როცა არსებითი არის ნასესხები, ქართული აფიქსი ემატება არსებითი სახელის ფუძეს. მაგალითად, *ფუნქცია* → *ფუნქციური*, არსებითი სახელის ფუძეს დაერთო ზედსართავის მაწარმოებელი **-ურ** სუფიქსი; *ვირტუალ-ურ-ი*, ამ შემთხვევაში ქართული აფიქსი თვითონ ზედსართავულ ფუძეს დაერთო.

კონკრეტული ტერმინის, **კორპორაციული** თუ **კორპორატიული**, ნორმის დასაზუსტებლად, ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ სწორედ ქართულ ენაში უკვე დადგენილი მორფოფონეტიკური საკითხები. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამგვარ ტერმინთა ნორმა შემუშავებულია. მიუხედავად ასეთი მტკიცე ამოსავალი დებულებისა, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა იყოს მიჩნეული უცხო სიტყვათა ადაპტაციისას, დასტურდება ზედსართავი წარმოების პარალელური ფორმები ერთი და იმავე სიტყვის ფუძესთან. ამ ფაქტის

ახსნა უცხო წარმომავლობის ტერმინთა მორფოლოგიური სტრუქტურისა და ცალკეულ მორფემათა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაწარმოებელი ფუძის სუფიქსურ მორფემათა სტრუქტურა, როდესაც ერთმანეთს ხვდება, ერთი მხრივ, უცხო სუფიქსი და, მეორე მხრივ, ქართული მაზედსართავებელი **-ურ (-ულ)** სუფიქსი.

ამ ტიპის ზედსართავებში ყურადღებას იქცევს უცხო წარმომავლობის **-ცია (-tio)** დაბოლოებიანი ტერმინები. რუსული ენა საკუთარი ენობრივი ინვენტარით აფორმებს ამგვარ ზედსართავებს:

დისტრიბუცია → დისტრიბუციული *дистрибутивный*

რეპროდუქცია → რეპროდუქციული *репродуктивный*

კონვექცია → კონვექციური *конвективный*

ინტუიცია → ინტუიციური *интуитивный...*

ქართული ზედსართავებისათვის ამოსავალია **-ცია** დაბოლოებიანი არსებითი სახელები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასტურდება პარალელური წარმოების შემთხვევებიც. ამგვარი დუბლეტების არსებობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ზოგჯერ პარალელური ფორმების არსებობა არამართებულია, მაგალითად, **დიზიუნქციური** და **დიზიუნქტიური**, **სელექციური** და **სელექტიური**. თუ ქართულში დასტურდება **-ცია** დაბოლოებიანი არსებითი სახელი, ბუნებრივია, ზედსართავი ამ არსებითის მიხედვით უნდა გაფორმდეს: **სელექცია** → **სელექციური** და **არა სელექტიური**, **დიზიუნქცია** → **დიზიუნქციური** და **არა დიზიუნქტიური...**

ამდენად, როდესაც დასტურდება პარალელური ფორმები ერთი და იმავე ფუძიდან, ყურადღება ექცევა, გვაქვს თუ არა ქართულში არსებითი სახელი, რომელიც არის ამოსავალი ზედსართავისთვის. რადგანაც ქართულში დამოუკიდებელ არსებითად დასტურდება **დიზიუნქცია**, ბუნებრივია, ზედსართავი სახელი, შესაბამისად, იქნება **დიზიუნქციური**. ასევე **სელექცია**, აქედან **სელექციური**. ხოლო ფორმები **დიზიუნქტიური** და **სელექტიური** ქართულისათვის არამართებულია, რადგან ამგვარი გაფორმების მიზეზი იყო შუამავალი ენა. ქართულისათვის ასეთი ენა იყო რუსული. **-ცია** დაბოლოებიანი უცხოენოვანი ტერმინები რუსულ ენაში სწორედ **-тивный** სუფიქსით ფორმდება, რომელიც ქართულში სწორედ ამ დაბოლოებით გადმოვიდა.

სწორედ ამიტომ დღეს ქართულში არამართებულად დამკვიდრდა ზედსართაული ფორმა *კორპორატიული*, რომელიც მომდინარეობს უცხო წარმომავლობის სიტყვიდან *კორპორაცია*.

როგორც აღვნიშნეთ, **-ცია** დაბოლოებიანი სახელებისათვის **-ურ (-ულ)** სუფიქსი სწორედ უცხო სუფიქსს დაერთვის და, შესაბამისად, სწორი ფორმა იქნება **კორპორაციული**, რომელიც ნიშნავს: საერთო, საზოგადო. რუსულად ამ ზედსართავს შეესატყვისება *корпоративный*. სწორედ რუსული ენის მიხედვით გაჩნდა ქართული **კორპორატიული** ზუსტად იმავე მნიშვნელობით, რაც აქვს **კორპორაციულს**. **კორპორაციული** და **კორპორატიული** ზედსართავების ლექსიკური მნიშვნელობა იდენტურია. **კორპორატიულის** განსხვავებული მნიშვნელობა დღეს ქართულში არ ჩანს. ბუნებრივია, ამგვარი პარალელური ფორმებიდან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ისეთი წყვილები, რომლებიც პარონიმებს ქმნის და სემანტიკურად განსხვავებულია. მაგალითად, *ოპერაციული* და *ოპერატიული*, **პროდუქციული** და **პროდუქტიული**, **დეკორაციული** და **დეკორატიული**...

დღეს ქართულ ენაში **კორპორატიული** და **კორპორაციული** არ არის პარონიმები, მათ არ აქვთ განსხვავებული სემანტიკა. ამის დამადასტურებელია კონტექსტში ამ ზედსართავების იდენტური მნიშვნელობები. ერთი კი უნდა შევნიშნოთ, დღეს აშკარაა, რომ არის ტენდენცია, უპირატესობა მიანიჭონ ფორმა **კორპორატიულს**. მიზეზი ამგვარი წარმოებისა დღესაც შუამავალი ენაა.

ქვემოთ წარმოვადგენთ კონტექსტში **კორპორაციულისა** და **კორპორატიულის** პარალელური გამოყენების შემთხვევებს.

### **კორპორაციული**

1. „უხეშად არის ხელყოფილი არა მარტო **კორპორაციული**, არამედ თანამშრომელთა კერძო საკუთრება“.
2. „სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე არაერთ პირს თურმე როგორც **კორპორაციული**, ასევე სახელმწიფო დაზღვევაც აქვს, რასაც კანონი კრძალავს“.
3. „პირველ რიგში, მინდა მივულოცო კომპანია „ჯეოსელს“ ახალი **კორპორაციული**, სპეციალიზებული ცენტრის გახსნა“.
4. „ერთ-ერთი ფორმა სხვა საწარმოების შეერთებისა და მათი **კორპორაციული** აქტივების შეძენას გულისხმობს“.
5. „ჩვენ გთავაზობთ **კორპორაციული** ბანკირის მომსახურებას, რაც დაგეხმარებათ დაზოგოთ დრო“.

6. „პარტიის წარმომადგენელმა ისაუბრა ევროკავშირის შიგნით **კორპორაციული** გადასახადების ჰარმონიზაციის საჭიროებაზე“.
7. „მოთხოვნა გაიზარდა და ამანაც მოგვცა მოტივაცია, რომ **კორპორაციული** კლიენტებისთვის ცალკე მომსახურების ცენტრი გაგვეკეთებინა“.

### **კორპორატიული**

1. „რადგანაც იზრდებოდა დაზღვეულთა რიცხვი არა მხოლოდ **კორპორატიული**, არამედ სახელმწიფო“.
2. „იყო როგორც **კორპორატიული**, ისე პერსონალური შეკვეთები“.
3. „არც სახელმწიფოს დაზღვევა მაქვს და არც **კორპორატიული**“.
4. „მეოთხე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, **კორპორატიული** აბონენტების რაოდენობა 25,6%-ით გაიზარდა“.
5. „სამინისტროს დავალებით ყველა მასწავლებელი „ჯეოსელის“ **კორპორატიული** აბონენტი უნდა გავმხდარიყავით“.
6. „მაგთიკომს“ 137 000 „**კორპორატიული**“ აბონენტი ჰყავს“.
7. „მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენდა როგორც **კორპორატიული**, ისე ინდივიდუალური კლიენტების მიმართ“.

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, **კორპორაციული** და **კორპორატიული** მნიშვნელობით არ განსხვავდება და ორივე ზედსართავი აღნიშნავს სამსახურებრივს, ანუ სამსახურთან დაკავშირებულს, სამსახურისთვის განკუთვნილს, სასამსახუროს.

სანიმუშოდ შეიძლება ვიმსჯელოთ მასალაში წარმოდგენილ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებზე: **კორპორაციული დაზღვევა** და **კორპორატიული დაზღვევა** ნიშნავს მოსახლეობის ან ორგანიზაციების კუთვნილი ქონების დაზღვევის ერთ-ერთ ფორმას. ამდენად, ეს შესიტყვებები მნიშვნელობით არ განსხვავდება. ამ ფორმათაგან რომელი უნდა დარჩეს ენაში, ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელია ამ ზედსართავისათვის ამოსავალი. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ესაა არსებითი სახელი **კორპორაცია** და, შესაბამისად, ზედსართავი სახელი იქნება **კორპორაციული** და არა **კორპორატიული**.

## ლიტერატურა

**ზექლაშვილი 2009** – რ. ზექლაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი.

**ტექნიკური ტერმინოლოგია**, 1977, თბილისი.

**შალამბერიძე 1993** – გ. შალამბერიძე, ზედსართავი სახელების წარმოება უცხოურ ფუძეთაგან -**ურ** სუფიქსით, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, თბილისი.

**ჯანაშია** – ს. ჯანაშია, ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -**ურ** ბოლოსართით, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი.

## წყაროები

ქართული ენის ვებკორპუსი, KaWac.

## Marina Osadze

### On the Parallel Terms „**korporaciuli**“ and „**korporaṭiuli**“ (Corporative)

#### S u m m a r y

The issue of the morphological adaptation of terms with a suffix from foreign bases has already been studied. The base for the borrowed adjectives is a noun or an adjective. Despite such strong regulations there are attested the parallel forms for the same base of a word.

In order to clarify the form of the certain terms „**korporaciuli**“ and „**korporaṭiuli**“ we should take the established morphophonetic issues into consideration.

The improperly establish adjective „**korporaṭiuli**“ is derived from a foreign word „a corporation“, accordingly, the correct form is „**korporaciuli**“ . On the bases of the presented material the paper shows the inadequacy of this form.